

EU CHEMLAB - ევროპული პროფესიული განათლება ქიმიური, ფარმაცევტული, კვებისა და გარემოს დაცვის ინდუსტრიისათვის

2010 წლის 8 ივლისს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში* (თსუ) გაიმართება მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტისა და მისი რამდენიმე ევროპული პარტნიორის "EU CHEMLAB" პროექტის პრეზენტაცია, რომელიც პროფესიული განათლების სფეროში ევროპული დონის სასწავლო პროგრამების შექმნა/განხორციელების შესაძლებლობებს ქმნის. პროექტი ეხება ქიმიური, ფარმაცევტული, კვებისა და გარემოს დაცვის ინდუსტრიისათვის ქიმიკოს ლაბორანტების (ინსტრუმენტული ანალიზი) მომზადებასა და პროფესიულ ტრენინგს.

აღნიშნულ შეხვედრაზე გერმანული მხარის წარმომადგენლები (მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი, ბავარიის მხარის სავაჭრო პალატა და ინდუსტრიული ფირმები) თსუ-ს და ქართული ინდუსტრიის წარმომადგენლებთან ერთად განხილავენ მოთხოვნას და შესაძლებლობებს სქართველოში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (უპირატესად ქიმიაში), ევროპული პროფესიული განათლებისა და ტრენინგის ახალი მოდელის ("EU CHEMLAB") განხორციელებისათვის. ქართული მხარე, თსუ-ს სახით, მიწვეულია Leonardo da Vinci "EU CHEMLAB" პროექტში ძირითად პარტნიორად.

"EU CHEMLAB" მოდელი გერმანული პროფესიული განათლების დუალურ მოდელს ეფუძნება. ქიმიკოს ლაბორანტის პროფესიული განათლება 2,5 წელი გაგრძელდება. პირველ წელს თითოეული ქვეყნის მონაწილე კომპანია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ახორციელებს სწავლებას, მეორე წელი მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტშია დაგეგმილი (გერმანულ პროფესიულ სკოლებთან მჭიდრო კავშირში), ბოლო 6 თვე კი გერმანიაში (ან შესაბამის ქვეყანაში არსებულ) ინდუსტრიულ პარტნიორებთან პრაქტიკით, ბავარიის მხარის სავაჭრო და სამრეწველო პალატაში გამოცდების ჩაბარებით და ქიმიკოს ლაბორანტის ხარისხის მინიჭებით დამთავრდება. გრძელვადიანი პერსპექტივით, მეორე წელი მოდულურად უნდა დაიყოს და თითოეულ მონაწილე ქვეყანაში მოხდეს ცალკეული მოდულის სწავლება, რაც ევროპის ფარგლებში მობილობას და ცოდნის გადაცემას შეუწყობს ხელს. ლაბორანტები კი მართლაც კვალიფიციური ცოდნით აღჭურვილნი, ადვილად დასაქმდებიან მასპინძელ კომპანიაში.

შეხვედრაზე მონაწილობის მიღებით დაინტერესებული საწარმოების წარმომადგენლებს ვთხოვთ წერილობით დაგვიდასტურონ მონაწილეობა არაუგვიანეს 2010 წლის 2 ივლისისა. საკონტაქტო მონაცემები შეიძლება გამოიგზავნოს ელექტრონულად შემდეგ მისამართზე: khatuna.kakhiani@tsu.ge და T.Letzel@wzw.tum.de. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ შეხვედრის [სამუშაო პროგრამა](#) და EU CHEMLAB საინფორმაციო [ბუკლეტი](#) ან მოგვმართეთ ტელ.: 893 930085; ელ-ფოსტა: khatuna.kakhiani@tsu.ge (საკონტაქტო პირი; ხათუნა კახიანი).

მისამართი: ჭავჭავაძის პრ. 3, თსუ 2 კორპუსი, მცირე საკოფერენციო დარბაზი #135,